ვაკანსიის № 50841

თანამდებობის დასახელება	პირველი რანგი - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
პოზიციის დასახელება	მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	ხობის მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	აუდიტი
განცხადების ბოლო ვადა	28.07.2018
თანამდებობრივი სარგო	1600 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	ხობი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	12 თვე

ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის კოორდინირება და ხელმძღვანელობა;
2. სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პირობების შექმნა;
3. სამსახურის განყოფილებასა და მოსამსახურეებს შორის დავალებების განაწილება, სამუშაო გეგმებითა და მერის დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
4. სამსახურის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება და მოხელეთათვის ფუნქციონალურ მოვალეობათა განაწილება;
5. მერისთვის სამსახურის სტრუქტურის, საშტატო რიცხოვნებისა და მუშაობის ორგანიზაციის შესახებ წინადადებების წარდგენა;
6. სამსახურის მოსამსახურეთა მხრიდან მერიის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და მერიის შინაგანაწესის მოთხოვნებსა და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლი;
7. მერისთვის წინადადებების წარდგენა საჯარო მოსამსახურეთა წახალისების, მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, მოხელეთა პროფესიული განვითარების შესახებ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
8. განყოფილების ან/და მოსამსახურეების ანგარიშების ჩაბარება გაწეული საქმიანობის შესახებ და მათი შეფასება;
9. სამსახურის მიერ მომზადებული საკითხების, წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მერისთვის წარდგენა;
10. მერისთვის სამსახურის მიერ სამუშაო გეგმებითა და მერის ცალკეული დავალებებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების შესახებ ანგარიშების წარდგენა;
11. სამსახურში დაცული დოკუმენტების ასლების დამოწმება და მათ საფუძველზე ასლების გაცემა, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში;
12. სამსახურის საქმიანობის ორგანიზების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში და მერიის დებულების საფუძველზე მერის მხრიდან ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირების შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემა;
13. შესასრულებლად გადაცემულ კორესპონდენციაზე სათანადო რეაგირება;
14. საჭიროების შემთხვევაში, სამსახურის მოსამსახურეთა ცალკეულ ფუნქციათა შესრულება;
15. მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;
16. მერიის და სამსახურის დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;
17. მერის სხვა დავალებების შესრულება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	5 წელი

საკონკურსო თემატიკა

1. საქართველოს კონსტიტუცია;

2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
6. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;
9. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
10. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
11. „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
12. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის დადგენილება №200;
13. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №189
საკონტაქტო ტელეფონები	599856064
საკონტაქტო პირი	სალომე ცხადაია

დამატებითი მოთხოვნები

1. მითითებული განათლების (უმაღლესი) ფარგლებში სასურველია განათლება იურიდიული, ეკონომიკური, საბუღალტრო აღრიცხვის, ან/და ფინანსების სპეციალობით.
2. მითითებული სამუშაო გამოცდილება (5 წელი) მოითხოვება იურიდიულ, ეკონომიკის, საბუღალტრო აღრიცხვის, საფინანსო, აუდიტის, ზედამხედველობის, კონტროლის ან/და მონიტორინგის სფეროში, მათ შორის 2 წელი - ხელმძღვანელ თანამდებობაზე.
3. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი კომპეტენციები და უნარები:
ა) ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
ბ) საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი;
გ) სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;
დ) სტრუქტურული ერთეულისა და ინდივიდუალური ამოცანების დასახვის უნარი;
ე) ცვლილებების/სიახლეების ინიციირებისა და მართვის უნარი;
ვ) პროექტების მართვის უნარი;
ზ) თათბირებისა და შეხვედრების წარმართვის უნარი;
თ) მოხელის პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი;
ი) გუნდის განვითარების უნარი;
კ) პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია

1. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, მისამართზე: www.hr.gov.ge
2. სავალდებულოა „ჩემი რეზიუმეს“ „განათლების“ ბლოკში განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, ხოლო „სამუშაო გამოცდილების“ ბლოკში - სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ასლის ატვირთვა.
3. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).
4. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც განაცხადის (აპლიკაციების) გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.
5. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.khobi.ge).
6. გასაუბრების ჩატარების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ ინფორმაცია კანდიდატს ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, არაუგვიანეს 7 კალენდარული დღით ადრე.
7. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა) გარეშე გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება.

8. კონკურსის შედეგების (კანდიდატის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, საპრეტენზიო კომისიაში, კანდიდატის ელექტრონულ ფოსტაზე კომისიის გადაწყვეტილების გაგზავნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მისამართზე: ქ. ხობი; ცოტნე დადიანის ქ. 189 (ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა).
9. დამატებითი და დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე, შემდეგ მისამართზე: www.khobi.ge, საინფორმაციო ბლოკი: „ვაკანსია“/„2018 წელი“/„ივლისი“.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
ზეპირი დავალება
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

☑პირადი ინფორმაცია

☑სამუშაო გამოცდილება
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები